

სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ს  
ანტიკორუფციული პოლიტიკა

## თავი 1. ზოგადი დებულებები და ტერმინები

1. სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ს წინამდებარე ანტიკორუფციული პოლიტიკა (შემდგომში - პოლიტიკა) შემუშავებულია სს „ყაზახეთის სახალხო ბანკი“-ს ანტიკორუფციული პოლიტიკის მოთხოვნების, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ს (შემდგომში - ბანკი) შიდა დოკუმენტების, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატივების და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2. წინამდებარე პოლიტიკა წარმოადგენს ბანკის ძირითად შიდა დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს იმ საკვანძო პრინციპებსა და მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია კორუფციული სამართალდარღვევების წინააღმდეგ და კორუფციული სამართალდარღვევების შედეგების მინიმიზაციის ან/და ლიკვიდაციის ღონისძიებებზე, აგრეთვე ბანკის, მისი მუშაკების და ბანკის სახელით და ბანკის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედების უფლების მქონე სხვა პირების მიერ ბანკის მოქმედი ანტიკორუფციული კანონმდებლობის ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად.

3. წინამდებარე პოლიტიკის დებულებები ვრცელდება ბანკის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფზე, მუშაკზე, ორგანოებზე და ადგენს ძირითად მოთხოვნებს და სტანდარტებს, რომლებიც წარმოადგენს ბანკში კორუფციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკვანძო ელემენტებს.

4. ბანკი, თავის საქმიანობაში იცავს ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპს კორუფციული სამართალდარღვევების ნებისმიერი სახის გამოვლინებისადმი. ბანკი ცდილობს პოლიტიკის პრინციპების და მოთხოვნების გავრცელებას ყველა მუშაკზე და ასევე მოელის შესაბამისი ანტიკორუფციული ვალდებულებების დაცვას.

5. უსაფრთხოების სამმართველო (შემდგომში - უს) არის ქვედანაყოფი, რომელიც პასუხისმგებელია ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელების სფეროში საქმიანობის კოორდინაციაზე და არის ამ დოკუმენტის მფლობელი.

6. კორუფციის კონცეფციის გარდა, წინამდებარე პოლიტიკაში გამოიყენება შემდეგი ძირითადი ცნებები:

**ბანკის უფლებამოსილი ორგანო** - ბანკის სამეთვალყურეო საბჭო/დირექტორატი

**მუშაკი** - ფიზიკური პირი, რომელიც ბანკთან სამუშაო ურთიერთობაშია და უშუალოდ ასრულებს სამუშაოს შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

**კლიენტი** - ფიზიკური, იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც არის საბანკო მომსახურების მომხმარებელი, ან აპირებს საბანკო სერვისების გამოყენებას.

**დაცვის პირველი ხაზი** - ბანკის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი, გარდა იმ ქვედანაყოფებისა, რომლებიც მიეკუთვნება დაცვის მეორე და მესამე ხაზს.

**დაცვის მეორე ხაზი** - არის რისკების მართვის, Compliance- კონტროლისა და იმ სხვა განყოფილებების მართვის ქვედანაყოფები, რომლებიც ახორციელებენ საკონტროლო ფუნქციებს (მათ შორის, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ქვედანაყოფები, რომლებიც ასრულებენ უსაფრთხოების, ხარისხის კონტროლის, პერსონალის მენეჯმენტის, ფინანსური კონტროლის, ოპერაციული რისკის ფუნქციებს, აგრეთვე იურიდიული სამსახური და კანცელარია).

**დაცვის მესამე ხაზი** - შიდა აუდიტის სამსახური.

**კორუფციული სამართალდარღვევა** - არის არაკანონიერი ბრალეული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) კორუფციის ნიშნებით, რისთვისაც კანონი ადგენს ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

**კონტრაგენტი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არის ბანკთან დადებული ხელშეკრულების მხარე, მათ შორის აგენტი და პარტნიორი;

**ინტერესთა კონფლიქტი** - სიტუაცია, რომლის დროსაც წარმოიქმნება წინააღმდეგობა ბანკის თანამდებობის პირების და (ან) მისი მუშაკების პირად ინტერესსა და მათ მიერ თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილების სათანადო შესრულებას შორის, ან ბანკის და (ან) მისი მუშაკების და (ან) კლიენტების ქონებრივ და სხვა ინტერესებს შორის, რამაც შეიძლება განაპირობოს უარყოფითი შედეგები ბანკისათვის და (ან) მისი კლიენტებისათვის, აგრეთვე კონფლიქტი აქციონერთა ჯგუფებს შორის, ბანკის აქციონერებსა და თანამდებობის პირებს შორის, აქციონერსა და შრომით კოლექტივს შორის, ქონებასთან, ფინანსურ ნაკადებთან და მთლიანობაში ბიზნესთან მიმართებაში, ბანკს, სათავო ბანკსა და მის ფილიალებს შორის.

**საჩუქარი** - ნებისმიერი ძვირფასეულობის გადაცემა ან გადაცემის დაპირება მატერიალური ან არამატერიალური ფორმით, რისთვისაც არ არის დაწესებული ჩვეულებრივი ფასის, მათ შორის ფულის, ფასიანი ქაღალდების და სხვა ქონების, ქონებრივი ხასიათის სარგებლობისა და მომსახურების (სამუშაო, მომსახურება, გართობის, დასვენების, ტრანსპორტირების ხარჯების გადახდა, სესხები, ფასდაკლებები, ქონებით, მათ შორის საცხოვრებლით სარგებლობის შეთავაზება, საქველმოქმედო შენატანები, შემოწირულობები და ა.შ.) გადახდის ვალდებულება, სამსახურებრივი მოვალეობის არასათანადოდ შესრულების მიზნით, ანუ გამცემისათვის ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობებზე ან/და ბანკის შიდა დოკუმენტებით დადგენილი წესებისა და პროცედურების დარღვევით.

**კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა** - ბანკის საქმიანობა, მათ შორის, მისი ორგანოების საქმიანობა მათი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ბანკის შიდა დოკუმენტებით რეგლამენტირებული კორპორატიული კულტურის ელემენტების, წესებისა და პროცედურების დაწესებას, რომლებიც უზრუნველყოფს კორუფციული სამართალდარღვევების პრევენციას, მათ შორის, კორუფციის მიზეზების იდენტიფიცირებას და შემდგომში აღმოფხვრას (კორუფციის პრევენცია), კორუფციული სამართალდარღვევების ჩადენისთვის ხელსაყრელი მიზეზებისა და პირობების შეზღუდვას და აღმოფხვრას.

## **თავი 2. კორუფციული სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი პრინციპები და ღონისძიებების სისტემა**

7. წინამდებარე პოლიტიკის მთავარი მიზანია კორუფციული სამართალდარღვევების იდენტიფიცირება, პრევენცია, გამჟღავნება და გამოძიება, აგრეთვე ბანკის მუშაკების უკანონო, არაეთიკური, კორუფციული ქცევის შემთხვევების შემცირება. წინამდებარე პოლიტიკა მიზნად ისახავს კორუფციული მიმართულობის ყველა გამოვლინებისადმი შეუწყნარებლობის ფორმირებას და კორუფციული ქმედებების არსის, მათი ფორმებისა და გამოვლინების გააზრებას, რათა თავიდან აცილებულ და აღკვეთილ იქნეს სიტუაციები, რომლებიც, მათ შორის, პოტენციურად, შეიძლება არღვევდეს მოქმედი საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს.

8. კორუფციული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის ძირითადი ამოცანებია:

1) ბანკში კორუფციული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპებისა და წესების დადგენა;

2) ეფექტური მექანიზმების, პროცედურების, კონტროლისა და სხვა ღონისძიებების შექმნა, რომლებიც მიმართულია კორუფციული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლასა და ბანკის, აგრეთვე მისი მუშაკების კორუფციულ საქმიანობაში ჩართვის რისკების მინიმინიზაციაზე;

3) ბანკში ანტიკორუფციული კულტურის ფორმირება, მათ შორის, არაკორექტული ანგარიშების შედგენის და ყალბი დოკუმენტების გამოყენების აღკვეთა;

4) ბანკის საქმიანობის ყველა დონეზე ანტიკორუფციული პრინციპის დანერგვა;

5) ბანკის თანამშრომელთა შორის წინამდებარე პოლიტიკის პრინციპების საერთო გაგების ფორმირება;

6) ბანკის უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება კორუფციული სამართალდარღვევისა და კორუფციული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოსათვის წინამდებარე პოლიტიკის განხორციელების შესახებ წლიური ანგარიშის წარდგენა;

7) კორუფციული ქმედებების ჩადენისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ზომების გამოყენება.

8) კორუფციისადმი შეუწყნარებლობის ატმოსფეროს ფორმირება;

9) კორუფციული სამართალდარღვევების ჩადენის ხელშემწყობი პირობებისა და მიზეზების დადგენა და მათი შედეგების აღმოფხვრა;

10) კორუფციული სამართალდარღვევების დადგენა, აღკვეთა, გამჟღავნება და გამოძიება.

9. კორუფციული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარებისას, ბანკი ემყარება შემდეგ პრინციპებს:

1) კანონიერება და კორპორაციული ეთიკა;

2) ყველა ფორმის და გამოვლინების კორუფციული ქმედებების თავიდან აცილება;

3) შეურიგებელი დამოკიდებულება კორუფციული ქმედებების გამოვლინებისადმი კორპორატიული მართვის ყველა დონეზე;

4) კორუფციული ქმედებების დაუშვებლობა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება და მოგვარება ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების საფუძველზე;

5) საჯაროობა და გამჭვირვალობა;

6) ანტიკორუფციული ზომების სისტემური და კომპლექსური გამოყენება;

7) კორუფციის თავიდან აცილების ზომების პრიორიტეტული გამოყენება;

8) სასჯელის გარდაუვალობა კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის.

### **თავი 3. კორუფციის პრევენციის და მის წინააღმდეგ ბრძოლის ზომების მიღების ღონისძიებების განხორციელება**

10. კორუფციის პრევენცია ბანკში ხორციელდება შემდეგი ძირითადი ზომების გამოყენებით, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- ბანკი პერიოდულად გამოავლენს, შეაფასებს და შეისწავლის კორუფციული სამართალდარღვევების ჩადენისთვის ხელსაყრელ მიზეზებსა და პირობებს, ზოგადად მის საქმიანობაში და კერძოდ, ცალკეული მიმართულებებისათვის;

- ბანკი ასრულებს სამუშაოებს, რომლებიც ეხება ხელშეკრულებების შედგენისას, ბანკის მუშაკებთან კონტრაგენტების საქმიანი ურთიერთობების რისკების დადგენასა და შემცირებას, და აკონტროლებს საქონლისა და მომსახურების შესყიდვების პროცედურების შესრულებას, აგრეთვე აკვირდება ბანკის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად ხელშეკრულებების დადების პირობებს.

- ანტიკორუფციული განათლების სისტემის დანერგვა, პერიოდული ინსტრუქტაჟის გზით კორუფციის მიუღებლობის ფორმირების მიზნით, მათ შორის ელ.ფოსტით, არსებული პოლიტიკის შეხსენებით, ასევე შესაძლებელია სემინარებისა და ლექციების ჩატარება ანტიკორუფციულ საკითხებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფების მონაწილეობით.

ამ შემთხვევაში სავალდებულო ანტიკორუფციული სწავლება ტარდება:

- ბანკის დირექტორატის წევრებისთვის;

- დაცვის პირველი ხაზის მუშაკებისთვის;

- დაცვის მეორე ხაზის მუშაკებისთვის;

- დაცვის მესამე ხაზის მუშაკებისთვის.

- ბანკი ხელს უწყობს ანტიკორუფციული კულტურის დონის ამაღლებას, ბანკის მუშაკების ინფორმირების და ახსნა-განმარტებითი საუბრების ჩატარების გზით, კორუფციის მიუღებლობის აქტიური პოზიციის ფორმირების მიზნით;

- ბანკის მუშაკების, ასევე მესამე პირების მიერ იმ კორუფციული სამართალდარღვევების ცნობილი ფაქტების ან ჩადენის ეჭვის, და სხვა უკანონო ქმედებების შესახებ ინფორმაციის წარდგენის უფლება, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე საბანკო პოლიტიკას და ბანკის სხვა შიდა დოკუმენტებს.

11. კორუფციული ქმედებების წარმოშობის პრევენციის მიზანი გამოიხატება ბანკის უფლებამოსილი ორგანოებისა და მუშაკების საქმიანობაში, მათი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც დაკავშირებულია:

1) ნებისმიერი ფორმით ჩადენილი კორუფციული სამართალდარღვევების მიმართ შეუწყნარებლობის ფორმირებასთან;

2) კორუფციული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში კორპორაციული და სოციალური პასუხისმგებლობის ფორმირებასთან;

3) კორუფციული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლასთან - კორუფციული ქმედებების იდენტიფიცირება, პრევენცია, აღკვეთა, გამჟღავნება და გამოძიება;

4) კორუფციული ქმედებების შედეგების მინიმუმამდე დაყვანასთან ან/და ლიკვიდაციასთან;

5) კორუფციული სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან;

6) იმ პირთა პასუხისმგებლობაში მიცემასთან, ვინც ჩაიდინა კორუფციული ქმედებები.

12. კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენის რისკების ეფექტურად იდენტიფიცირების, შეფასებისა და შემცირების მიზნით, ბანკში გამოიყენება შემდეგი მთავარი მიდგომები:

1) კორუფციული ქმედებების რისკების მართვისას სათანადო კონტროლის უზრუნველყოფა;

2) კორუფციული სამართალდარღვევების ფაქტების ან კორუფციული სამართალდარღვევების ჩადენაზე მუშაკების დაყოლიების მიზნით მათთან დაკავშირების რაიმე შემთხვევის შესახებ ნებისმიერი შემოსული ინფორმაციის შეფასება და დამუშავება;

3) შეზღუდვა ბანკის მუშაკებისათვის, საწესდებო კაპიტალში ან/და მესამე პირების მმართველ ორგანოებში მონაწილეობაზე ბანკში მუშაობის დროს.

4) შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული ან/და შრომითი შეთანხმებებით დადგენილი მოთხოვნების წარდგენა ბანკის თანამდებობის პირებსა და ხელმძღვანელი თანამდებობის კანდიდატების მიმართ;

5) საჩუქრებსა და წარმომადგენლობით ხარჯებთან მოპყრობის წესების დადგენა;

6) ინფორმაციის გამჟღავნების პროცედურის დადგენა, ბანკში ინტერესთა, მათ შორის პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტის გადასაჭრელად და თავიდან აცილების მიზნით;

7) ბანკის მიერ შესრულებული ყველა გადახდის სრული და საიმედო აღრიცხვის და დოკუმენტირების წარმოება;

8) ბანკის კონტრაგენტების შეფასების, ანალიზისა და არჩევის პროცედურების, და აგრეთვე მათთან ურთიერთობის წესების დადგენა;

9) საკონტროლო პროცედურების შემოღება, კორუფციული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შემუშავების, განხორციელებისა და რეალიზების კონტროლზე ბანკის ერთი და იგივე მუშაკზე პასუხისმგებლობის დაკისრების თავიდან აცილების მიზნით;

10) ბანკის მუშაკებისთვის დამცავი ზომების უზრუნველყოფა, ბანკში ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის/კორუფციული ქმედების შესახებ შეტყობინების შემთხვევაში;

11) წინამდებარე პოლიტიკის წესებისა და მოთხოვნების მიწოდება ბანკის ქვედანაყოფების ყველა მუშაკსა და ხელმძღვანელისთვის;

12) იმ პირებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, რომლებმაც ჩაიდინეს კორუფციული ქმედებები;

13) ბანკის საქმიანობის ღიაობა და საჯაროობა (კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული შეზღუდვების გათვალისწინებით).

13. კორუფციული სამართალდარღვევების ჩადენის რისკების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ბანკი განსაზღვრავს ამ რისკის მართვის პროცესის მონაწილეებს, დაცვის სამი ხაზის საფუძველზე:

დაცვის პირველი ხაზი უზრუნველყოფილია თვით ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ. ეს ნიშნავს, რომ სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები პასუხისმგებელი არიან კორუფციული სამართალდარღვევების ჩადენის რისკების გამოვლენაზე, გაზომვაზე, მონიტორინგსა და კონტროლზე;

დაცვის მეორე ხაზს უზრუნველყოფენ ქვედანაყოფები, რომლებიც ასრულებენ საკონტროლო ფუნქციებს;

დაცვის მესამე ხაზს შემოწმების დროს უზრუნველყოფს შიდა აუდიტის ქვედანაყოფი, ბანკში შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის, რისკების მართვის სისტემის და კორპორატიული მმართველობის დამოუკიდებელი შეფასების გზით, მათ შორის კორუფციული სამართალდარღვევების ჩადენის ნაწილში.

#### თავი 4. კორუფციული რისკების ჩამონათვალის განსაზღვრა

14. წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისათვის, კორუფციულ ქმედებებად განისაზღვრება ქმედებები, რომლებიც განხორციელებულია:

1) ბანკთან მიმართებაში ან ბანკის სახელით ან მის ინტერესებში, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოებთან და მათ თანამშრომლებთან, ან სახელმწიფო ფუნქციების შესრულებაზე უფლებამოსილ სხვა პირებთან, ან მათთან გათანაბრებულ პირებთან, სხვა იურიდიულ პირებთან და მათ მუშაკებთან, მართვის ორგანოებთან და მითითებული იურიდიული პირების წარმომადგენლებთან მიმართებაში;

2) პირდაპირ ან ირიბად, პირადად ან მესამე პირების შუამდგომლობით; პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, პირადად ან მესამე მხარის შუამდგომლობით;

3) მიზნის მიუხედავად, ადმინისტრაციული, ბიუროკრატიული და სხვა ფორმალურობებისა და სხვა პროცედურების ნებისმიერი ფორმით გამარტივების ჩათვლით, კორუფციულ ქმედებებთან დაკავშირებული კონკურენტუნარიანი და სხვა უპირატესობების უზრუნველყოფით;

4) ნებისმიერი ფორმით, მათ შორის, ფულის, ძვირფასეულობის, საჩუქრების, შეღავათების ან სხვა ქონების ან ქონებრივი ხასიათის მომსახურების, სხვა ქონებრივი უფლებების მიღების /შეთავაზების ფორმით.

15. წინამდებარე პოლიტიკაში, ბანკის კორუფციული რისკები, პირველ რიგში, დაკავშირებულია შემდეგ კორუფციულ სამართალდარღვევებთან:

1) ქრთამის მიცემა;

2) მექრთამეობაში შუამდგომლობა;

3) ბანკის მუშაკების მიერ საკუთარი თავის ან მესამე პირების სასარგებლოდ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობასთან ან/და თანამდებობრივ უფლებამოსილებასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოყენება, ფინანსური ან სხვა სარგებლობის/უპირატესობების მისაღებად, რაც არ არის გათვალისწინებული ბანკის შიდა ნორმატიული დოკუმენტებით;

4) თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება, ბანკის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, ფინანსური ან სხვა სარგებლის/უპირატესობების მიღების მიზნით.

16. ბანკის მუშაკებს ეკრძალებათ წინამდებარე პოლიტიკის მე-4 თავში მითითებული ნებისმიერი ქმედებების შესრულება.

17. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მუშაკისთვის ცნობილი გახდება, წინამდებარე პოლიტიკის მოთხოვნების დარღვევის ფაქტის წარმოშობის შესახებ, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მუშაკს შესთავაზებენ პირობებს, რომლებიც განაპირობებენ წინამდებარე პოლიტიკის დარღვევას, მუშაკმა ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ ქვედანაყოფის უშუალო ხელმძღვანელს.

### **თავი 5. კორუფციის საწინააღმდეგო ზომები საბანკო სფეროში**

18. ბანკის მუშაკებმა უნდა აცნობონ თავიანთ უშუალო ხელმძღვანელებს ან ბანკის უსაფრთხოების სამმართველოს, კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენაზე დაყოლიების მიზნით მათთან ნებისმიერი პირების მიმართვის ნებისმიერი შემთხვევის შესახებ.

19. თუ ბანკის რომელიმე მუშაკი მოიპოვებს ინფორმაციას ან ეჭვი გაუჩნდება სხვა მუშაკების, კონტრაგენტების ან ბანკთან ურთიერთობაში მყოფი სხვა პირების შესაძლო კორუფციული ქმედებების ან უმოქმედობის შესახებ, აუცილებელია უსაფრთხოების სამმართველოს ინფორმირება.

20. ბანკი იძლევა კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის გარანტიას ყველა განმცხადებელთან მიმართებაში, და აგრეთვე, რომ ამ ინფორმაციასთან მიმართებაში ბანკის მიერ დადგენილ ვადაში ჩატარდება შემოწმება, მუშაკს არ დაეკისრება სანქციები, და ეს არ იმოქმედებს მუშაკის შრომით ურთიერთობებზე (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, სხვა თანამდებობაზე გადაყვანა, შრომის სტიმულირება და ა.შ.), თუ მან შეატყობინა კორუფციული ქმედების სავარაუდო ფაქტზე, მათ შორის, თუ მიმართვაში მითითებული ფაქტები არ დადასტურდება შემოწმების დროს. ამასთან, თუ ასეთი შეტყობინება გაკეთებულია როგორც აშკარად ცრუ, მაგალითად, ცილისწამების ან რაიმე პრეფერენციების მოპოვების მიზნით, ან პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, მაშინ ბანკის ასეთი მუშაკის მიმართ მიღებულ იქნება შესაბამისი ზომები, წინამდებარე პოლიტიკის დებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **თავი 6. ანტიკორუფციული შეზღუდვები**

21. ბანკი განსაზღვრავს მთავარ მარეგულირებელ ამოცანებს, წესებს და შეზღუდვებს საჩუქრების და მომსახურების მიღების/შეთავაზების სფეროში საქმიანი ურთიერთობის პროცესში, ბანკის მუშაკების და ხელმძღვანელობის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, მათ შორის, ნებადართულ და უნებართვო საჩუქრების ნუსხებს და კრიტერიუმებს, აგრეთვე მათი მიღების/ჩუქების მიზეზებს.

22. არავითარ შემთხვევაში საჩუქრების შეთავაზება/მიღება არ უნდა იყოს ფარული ანაზღაურება, რომელსაც შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკის მუშაკის/უფლებამოსილი ორგანოს/მთლიანად ბანკის რეპუტაციაზე.

23. დაუშვებელია საჩუქრების გაკეთება ბანკის მუშაკის ოჯახის წევრებზე, ნათესავებზე, რომლებიც არ არიან ოჯახის წევრები, ან სხვა ახლო პირებზე, და მათი გადაცემა ამგვარი მუშაკის მიერ ბანკში მის ფუნქციურ და სამსახურებრივ მოვალეობებთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების (უმოქმედობის) შესრულებასთან დაკავშირებით.

24. საჩუქრის მიღების/შეთავაზების შესაძლებლობის შეფასებისას, თითოეულმა მუშაკმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

- 1) საბაზის შესაბამისობა ცხადთან და ბანკში ზოგადად მიღებულთან;
- 2) თვით ბანკის მუშაკის, კონტრაგენტის, კლიენტის, პარტნიორის გადაწყვეტილების ობიექტურობაზე გავლენის უნარის არარსებობა ან/და ვალდებულებების წარმოქმნა საჩუქრის მიღებასთან/შეთავაზებასთან დაკავშირებით;
- 3) საჩუქრის ღირებულების მიზანშეწონილობა.

25. ბანკის წარმომადგენლობითი ხარჯები, მათ შორის საქმიანი მასპინძლობის ჩათვლით, შეიძლება გაკეთდეს ბანკის სახელით და ხარჯებით, ხოლო საჩუქრები და მომსახურება შეიძლება მიწოდებულ ან გაწეულ იქნას ბანკის სახელით და ხარჯებით, ან მიღებულ იქნას ფიზიკური პირების და ორგანიზაციების მხრიდან, მათ შორის, ვისაც აქვს საქმიანი ურთიერთობა ბანკთან ან ცდილობს დაამყაროს ასეთი ურთიერთობა, მხოლოდ ქვემოთ მითითებული კრიტერიუმების ერთობლიობის შესაბამისობის შემთხვევაში:

1) წარმომადგენლობითი ხარჯები და საჩუქრები პირდაპირ კავშირშია ბანკის საქმიანობის კანონიერ მიზნებთან, მაგალითად, ბიზნეს პროექტების პრეზენტაციასთან ან დასრულებასთან, კონტრაქტების წარმატებით შესრულებასთან ან ზოგადად მიღებულ დღესასწაულებთან;

2) წარმომადგენლობითი ხარჯები და საჩუქრები შეესაბამება მიღებულ ბიზნეს პრაქტიკას და არ სცილდება საქმიანი ურთიერთობის ნორმების ფარგლებს (ყვავილები, სარეკლამო ან იმიჯური ხასიათის სუვენირები და ა.შ.);

3) ბანკის სახელით განხორციელებული წარმომადგენლობითი ხარჯების და საჩუქრების ღირებულება უნდა იყოს ზომიერი და უნდა პასუხობდეს ჩატარებული ღონისძიებების მიზნებსა და მასშტაბებს ან ღონისძიების მნიშვნელობას, ღირებულების განსაზღვრის წესი უნდა განხორციელდეს ბანკის შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად;

4) წარმომადგენლობითი ხარჯებისა და საჩუქრების მიზანი არ არის მომსახურების, მოქმედების (უმოქმედობის), მიმწეებლობის, მფარველობის, უფლებების მინიჭების, გარიგების, შეთანხმების, ლიცენზიის, ნებართვის ან სხვა მსგავსი გადაწყვეტილებების შესახებ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების ან სხვა უკანონო მიზნით მიმღებზე გავლენის მოხდენის მცდელობის ფარული ანაზღაურება;

5) წარმომადგენლობითი ხარჯები და საჩუქრები არ აყენებენ ზიანს ბანკის საქმიან რეპუტაციას;

6) წარმომადგენლობითი ხარჯები და საჩუქრები არ ეწინააღმდეგება წინამდებარე პოლიტიკის პრინციპებსა და მოთხოვნებს, ბანკის შიდა ნორმატიულ დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ პროფესიული ეთიკის პრინციპებს და საქმიანი ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს, ბანკის სხვა დოკუმენტებს. არ დაიშვება საჩუქრები ბანკის და მისი მუშაკების, ბანკის წარმომადგენლების სახელით მესამე პირებისთვის ფულის სახით, მიუხედავად ვალუტის ფორმისა (ნაღდი/უნაღდო) და ტიპისა.

26. ბანკმა შეიმუშავა სისტემური მიდგომა საქველმოქმედო/სპონსორული საქმიანობის განხორციელების მიმართ, განსაზღვრულია პროცესის მონაწილეები და საქველმოქმედო/სპონსორული საქმიანობის განხორციელების ძირითადი მიმართულებები.

27. ბანკის მუშაკებს აქვთ უფლება საქველმოქმედო წვლილი შეიტანონ საქონლის ან მომსახურების მიწოდების, ტექნიკური ხელშეწყობის გაწევის, სწავლების ან ფინანსური დახმარების სახით. ამის მიუხედავად, ბანკი იღებს ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ დახმარების მიმღები იყოს კეთილსინდისიერი საქველმოქმედო ფონდი ან სხვა ორგანიზაცია, ბანკის შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, და ბანკს არ აქვს საფუძველი იფიქროს, რომ ეს ფონდი ან სხვა ორგანიზაცია ბანკის დოკუმენტების შესაბამისად პირდაპირ



ან ირიბად იმართება სარგებლის მისაღებად, მათ შორის საჯარო მოხელისთვის ან მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი პირებისთვის. ბანკის მუშაკებმა უნდა მიიღონ ბანკის უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი თანხმობა ბანკის სახელით საქველმოქმედო შენატანების გაკეთებამდე, ბანკის შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

28. ბანკის მიერ საქველმოქმედო შენატანების, შემოწირულობებისა და სპონსორული საქმიანობის უზრუნველყოფის პროცედურა ხორციელდება ბანკის შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. ბანკის უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს ამ მიზნებისათვის სახსრების გამოყოფის კონტროლს.

29. ბანკი არ მონაწილეობს პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაში და არ აფინანსებს მათ საქმიანობას. ბანკის ტერიტორიაზე დაუშვებელია რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ აგიტაცია, აგრეთვე მუშაკების მიერ მათი რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების და რწმენის გავრცელება.

30. ბანკის მუშაკებს ეკრძალებათ საჩუქრების გადაცემა, შენატანების განხორციელება პოლიტიკური მიზნებისთვის, ან ბანკის სახელით გასართობი ღონისძიებების ორგანიზება პოლიტიკური პარტიებისთვის ან პოლიტიკური თანამდებობის კანდიდატებისთვის.

31. სხვა საკითხები საჩუქრებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების სფეროში რეგულირდება ბანკის შესაბამისი შიდა ნორმატიული დოკუმენტებით.

## თავი 7. პასუხისმგებლობა

32. ბანკის ხელმძღვანელები და მუშაკები, განურჩევლად დაკავებული თანამდებობისა, პასუხისმგებელი არიან წინამდებარე პოლიტიკის პრინციპებისა და მოთხოვნების დაცვაზე, აგრეთვე იმ დაქვემდებარებული პირების ქმედებებზე (უმოქმედობაზე), რომლებიც არღვევენ ამ პრინციპებსა და მოთხოვნებს.

33. ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, თავიანთი ქვედანაყოფების კომპეტენციის ფარგლებში, აკონტროლებენ მათი ქვედანაყოფების მუშაკების მიერ წინამდებარე დოკუმენტის პრინციპებისა და მოთხოვნების დაცვას.

34. წინამდებარე პოლიტიკაში მითითებული კორუფციული სამართალდარღვევების და სხვა უკანონო ქმედებების ჩადენისთვის, პირებს შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბანკის მუშაკებს აგრეთვე შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, საქართველოს კანონმდებლობის, შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

## თავი 8. დასკვნითი დებულებები

35. პოლიტიკაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საჭიროებისამებრ, საქართველოს კანონმდებლობის, დედა ბანკის, აგრეთვე ბანკის შიდა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.

36. ბანკი წინამდებარე პოლიტიკას საზოგადოებრივ დომენში ათავსებს ბანკის ოფიციალურ ვებსაიტზე, ღიად აცხადებს შეუწყნარებლობას კორუფციისა და კორუფციული სამართალდარღვევების ყველა გამოვლენის მიმართ, მიესალმება წინამდებარე პოლიტიკის პრინციპების და მოთხოვნების დაცვას ბანკის ყველა კონტრაგენტის, ხელმძღვანელის, მუშაკის და სხვა პირების მხრიდან, აგრეთვე ხელს უწყობს ანტიკორუფციული კულტურის დონის ამაღლებას საზოგადოებასა და ბანკის მუშაკებს შორის ინფორმირების და სწავლების გზით.

37. პოლიტიკის დებულებები მკაცრად უნდა იქნას დაცული ბანკის თანამდებობის პირების, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების და თანამშრომლების მიერ.

38. ყველა იმ საკითხთან მიმართებაში, რაც არ არის ასახული წინამდებარე პოლიტიკაში, ბანკი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და ბანკის შიდა დოკუმენტებით.